პროექტი PRINTeL

ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული სერტიფიცირებული ტრეინინგი

„ვიდეო, როგორც სწავლების იარაღი მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის“

4-9 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ERASMUS+ პროგრამის PRINTeL პროექტის ფარგლებში ჩატარდა ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული სერტიფიცირებული ტრეინინგ-კურსი „ვიდეო, როგორც სწავლების იარაღი მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის“, რომელსაც უძღვებოდა სტუ-ს ასოცირებული პროფესორი ნათია ქოჩლაძე (არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი). 2018 წლის ნოემბერში ნათია ქოჩლაძემ შესაბამისი გადამზადება (ტრენერთა ტრენინგები - TOT) გაიარა პროექტის კონსორციუმის წევრ პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტში, კერძოდ, პორტოს უნივერსიტეტში (პორტუგალია).

ფოტო N1

ტრეინინგს ესწრებოდნენ 7 სხვადასხვა ფაკულტეტის 20 პედაგოგი და პროფესიული განვითარების ცენტრის 2 თანამშრომელი.

ინოვაციური სწავლების ხუთდღიანი ტრენინგი ითვალისწინებდა საკლასო სამუშაოს 10 საათს (მიმდინარეობდა 5 დღის განმავლობაში, დღეში 2 საათი) და, ასევე, ინდივიდუალური სამუშაოების 20 საათს (1 ECTS კრედიტი).

ტრეინინგის მონაწილეებს გაეცნენ სწავლებისა და სწავლის ინოვაციურ მეთოდებს ვიდეოს გამოყენებით (ფოტო N1).

ფოტო N2

ტრეინინგის მსვლელობისას განხილულ იქნა სწავლება-სწავლის რამოდენიმე კონკრეტული სცენარი, სადაც გამოყენებულია ვიდეო, როგორც სწავლების იარაღი (ფოტო N2, N3), რადგანაც აუდიო-ვიზუალურ მასალას აქვს თვისება, რთული ინფორმაცია უფრო დასამახსოვრებელი და ადვილად ასათვისებელი გახადოს.

ტრეინინგ კურსის მიმდინარეობისას, ასევე, გაიმართა დისკუსია ვიდეო ლექციების უპირატესობებისა და უარყოფითი მხარეების შესახებ.

ფოტო N3

ტრენინგის მონაწილეებმა იმსჯელეს, თუ როგორ შეიძლება ვიდეოს გამოყენება, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებზე, რათა სტუდენტები გახდნენ უფრო მოტივირებულები და როგორ შეიძლება ვიდეოს ჩართვა მათ კონკრეტულ სწავლების სფეროში.

აღნიშნული ტრეინინგები ტარდებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინოვაციების ცენტრის, პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის (რომელიც, თავის მხრივ, PRINTeL პროექტის ინსტიტუციური განვითარების კონტექსტის გათვალისწინებით დაფუძნდა) და სტუ-ს პროფესიული განვითარების ცენტრის თანამშრომლობით.



ფოტო N4

ფოტო N5

კურსის ბოლო დღე მიეძღვნა მონაწილეების მიერ მომზადებული მოკლე ვიდეოების პრეზენტაციას, რომლებიც მათ თავის სალექციო კურსს შეუსაბამეს (ფოტო N4, N5). კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ სათანადო სერტიფიკატები.

ტრეინინგის დასასრული